საქართველოს საპატრიარქოს წმიდა

ტბელ აბუსერისძის სასწავლო

უნივერსიტეტი

ირინა მჟავანაძე

$\sum_{20}(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები

(ნაშრომი შესრულებულია სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად)

ხელმძღვანელი: მათემატიკის აკადემიური დოქტორი

გიული თავდგირიძე

ბათუმი-2019

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ბინარულ მიმართებათა თეორიის განვითარება დაიწყო მათემატიკური ლოგიკის , როგორც მათემატიკის ერთ-ერთი დარგის აღმოცენებასთან ერთად და იგი ემსახურებოდა მის განვითარებას. ბინარულ მიმართებათა თეორიის საწყისი საფუძვლების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის დე მორგანს , პირსს და ფრეგეს. შემდგომში ბინარულ მიმართებათა თეორის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ფრანგმა მათემატიკოსმა რიგემ , მან ბინარულ მიმართებათა თეორია გამოიყენა დალაგებულ სიმრავლეთა შესასწავლად . ამჟამად ბინარული მიმართებები დიდ გამოყენებას პოულობს მათემატიკურ ლინგვისტიკაში, ბიოლოგიასა და მათემატიკის სხვა მრავალ დარგში, აგრეთვე ავტომატთა თეორიაში..

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბინარულ მიმართებათ თეორია და მესერთა თეორია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თეორიებია. გამომდინარე აქედან ამ თეორიათა პრობლემები შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მათი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთ კავშირის გათვალისწინებით.

ბინარულ მიმართებათა თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ალგებრის იმ დარგში რომელსც ნაწილობრივ ასახვათა თეორიას უწოდებენ. უკანასკნელი თეორიის შესწავლამ პირველად ვაგნერი მიიყვანა ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფის ცნებამდე.

ნახევარჯგუფთა თეორიაში ცნობილია რომ ნებისმიერი ნახევარჯგუფი , რომელიმე სიმრავლეზე განსაზღვრული ყველა ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფის რომელიმე ქვენახევარჯგუფის იზომორფულია. გამომდინარე აქედან გამართლებულია ყველა ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფის რომელიმე ქვენახევარჯგუფის შესწავლა, რადგანაც ამ შემთხვევაში ფაქტიურად ხდება ბუნებაში არსებული ნახევარჯგუფების შესწავლა. ამ ნახევარჯგუფების შესწავლის ამოცანა განსაკუთრებით საინტერესო ხდება როცა შეისწავლება არა ცალკეული ნახევარჯგუფები, არამედ ბინარულ მიმართებათა

ნახევარჯგუფის რაღაც კლასი. ჩვენ განვიხილავთ ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფების ისეთ კლასებს , რომლებიც განისაზღვრებიან გაერთიანების სრული $X-$ ნახევარმესერთა კლასით.

ამ მეთოდით ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფებისა და მათი ზოგიერთი მნიშვნელოვანი კლასების სისტემატური შესწავლა პირველად გამოყენებული იქნა იაშა დიასამიძის მიერ თავის სადისერტაციო ნაშრომში (იხ. მონოგრაფია [1]). ეს არის ახალი მიმართულება, რომელსაც წარმოდგენილი მონოგრაფია ეძღვნება. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ ეს რამოდენიმე სიტყვით შემდეგნაირად.

ვთქვათ $\Sigma_n(X,m)$ არის m სიმძლავრის მქონე ყველა გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერების კლასი. $D_1,D_2,...,D_n$ ისეთი ელემენტებია $\Sigma(X,m)$ კლასიდან, რომელთაგან არცერთი ორი ერთმანეთის იზომორფული არ არის. საზოგადოდ $\Sigma_s(X,m)$ სიმბოლოთი აღინიშნება $\Sigma(X,m)$ კლასის ქვეკლასი, რომლის ყოველი ელემენტი იზომორფულია ფიქსირებული $D_s\ (1\le s\le n)$ გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერისა.

ასევე ცნობილია, რომ თუ $\varnothing\in D$. თუ $B_X(D_1)$ და $B_X(D_2)$ ნახევარჯგუფები, რომლებიც განსაზღვრული არიან D_1 და D_2 გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერებით, ერთმანეთის იზომორფულია, მაშინ ასევე იზომორფული იქნებიან D_1 და D_2 ნახევარმესერები, როგორც ნაწილობრივ დალაგებული სიმრავლეები თეორიულ-სიმრავლური ჩართვის მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ ნახევარჯგუფთა კლასი რომლებიც განსაზღვრული არიან $\Sigma_s(X,m)$ კლასის ნახევარმესერებით ჩაკეტილი არიან მათი იზომორფული სახეების მიმართ. მათი აბსტრაქტული თვისებები (ე.ი. ნახევარჯგუფთა ისეთი თვისებები, რომლებიც შეინახებიან მათი იზომორფიზმების დროს) ძირითადად განისაზღვრებიან D ნახევარმესერის თვისებებით. აქედან გამომდინარე ნახევარჯგუფებისა და ნახევარჯგუფთა კლასების შესწავლის აღნიშნული მეთოდი საკმაოდ პერსპექტიული და ეფექტურია.

კვლევის საგანია როგორც $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერები, ისე ამ ნახევარმესერებით განსაზღვრული ყველა ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები, რადგანაც მოცემული ნახევარმესერები, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებენ, ატარებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების შესახებ, რომლებსაც ისინი განსაზღვრავენ.

ნაშრომში პირველად განიხილება ბინარულ მიმართებათა იმ სრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის კლასები, რომლებიც განსაზღვრულია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით. ნახევარჯგუფთა კლასისა და ამ კლასის თითოეული ელემენტის შესწავლა ხდება გაერთიანების სრულ X-ნახევარმესერის თვისებებზე დაყრდნობით. ნაშრომში მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ამ ნახევარჯგუფის განმსაზღვრელი ნახევარმესერს დიაგრამაზე დაყრდნობით ვილაპარაკოთ მოცემული ნახევარჯგუფის დამახასიათებელ მრავალ თვისებაზე, კერძოდ გააჩნიათ თუ არა მარჯვენა ერთეულები, როგორი სახე ექნება მათ იდემპოტენტურ ელემენტებს, მაქსიმალურ ქვეჯგუფებს, რეგულარულ ელემენტებს და კიდევ სხვა მრავალ ფაქტზე.

ნაშროში აღწერილია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის ყველა ქვენახევარმესერები და გამოყოფილია მათგან $XI-$ქვენახევარმესერები. როცა X სასრული სიმრავლეა, გამოყვანილია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასში ნახევარმესერების რაოდენობის დათვლის ფორმულები.

აღწერილია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის ყოველი D ნახევარმესერით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტები და რეგულარული ელემენტები როცა X სასრული სიმრავლეა, გამოყვანილია რაოდენობის დათვლის ფორმულები. აგრეთვე აღწერილია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის მაქსიმალური ქვეჯგუფები.

სადისერტაციო ნაშრომში ნახევარჯგუფთა თვისებების შესწავლა ხდება ნახევარმესერთა თვისებების საშუალებით. ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფების აბსტრაქტული თვისებების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად განისაზღვრება იმ გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერებით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული კლასის ელემენტებს. ნაშრომში გამოიყენება მესერთა თეორიის, ნახევარჯგუფთა თეორიის, სიმრავლეთა თეორიის და კომბინატორიკის ზოგადი მეთოდი.

სამაგსიტრო ნაშრომი შედგება შესავლის 7 პარაგრაფისა და 1 დანართისაგან. ნაშრომის საერთო მოცულობა არის კომპიუტერით დაკაბადონებული გვერდი.

სარჩევი

1. ძირითადი აღნიშვნები, განმარტებები და თეორემები

ვთქვათ X რაღაც არაცარიელი სიმრავლეა, ხოლო D არის გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერი, ე.ი. D არის X სიმრავლის ქვესიმრავლეთა ისეთი არაცარიელი სიმრავლე, რომელიც ჩაკეტილია მისი ელემენტების თეორიულ-სიმრავლური გაერთიანების ოპერაციის მიმართ, f არის რაღაც ასახვა X -დან D -ში. ყოველ ასეთ f

ასახვას შევუსაბამოთ α_f ბინარული მიმართება X სიმრავლეზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$\alpha_f = \bigcup_{x\in X}\left(\{x\}\times f(x)\right).$$

ყველა ასეთი $\alpha_f\ (f : X \to D)$ ბინარული მიმართებების სიმრავლე აღვნიშნოთ $B_X(D)$ სიმბოლოთი. ადვილი შესამოწმებელია, რომ $B_X(D)$ არის ნახევარჯგუფი ბინარულ მიმართებათა გამრავლების ოპერაციის მიმართ და მას ეწოდება ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფი განსაზღვრული D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერებით.

$\varnothing$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ ცარიელი ბინარული მიმართება ან X სიმრავლის ცარიელი ქვესიმრავლე. $(x,y)\in\alpha$ ჩანაწერს შემდგომში ჩავწერთ შემდეგი ფორმით $x\alpha y$.

ვთქვათ $(x,y)\in X,\ Y\subseteq X,\ \alpha\in B_X(D),\ T\in D,\ \varnothing\neq D'\subseteq D,\quad t\in\breve{D}=\bigcup_{Y\in D}Y\quad$ ($\breve{D}$ არის D სიმრავლის უდიდესი ელემენტი). შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$\begin{aligned}
&y\alpha=\{x\in X \mid y\alpha x\},\ Y\alpha=\bigcup_{y\in Y}y\alpha,\ V(D,\alpha)=\{Y\alpha \mid Y\in D\},\\
&X^*=\{T \mid \varnothing\neq T\subseteq X\}, D'_t=\{Z'\in D' \mid t\in Z'\},\\
&Y_T^\alpha=\{x\in X \mid x\alpha=T\},\ D'_T=\{Z'\in D' \mid T\subseteq Z'\},\\
&\ddot{D}'_T=\{Z'\in D' \mid Z'\subseteq T\},\ \ l(D',T)=\cup(D'\setminus D'_T).
\end{aligned}$$

$\wedge(D,D_t)$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ D_t სიმრავლის ქვედა საზღვრების სიმრავლე D ნახევარმესერში.

განმარტება 1.1. ვთქვათ $\varepsilon\in B_X(D)$. თუ $\varepsilon\circ\varepsilon=\varepsilon$, მაშინ ε ეწოდება $B_X(D)$ ნახევარ-ჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი .

განმარტება 1.2 α ელემენტს აღებული $B_X(D)$ ნახევარჯგუფიდან ეწოდება $B_X(D)$ ნახევარჯგუფის რეგულარული ელემენტი, თუ მოიძებნება $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ისეთი β ელემენტი, რომ $\alpha\circ\beta\circ\alpha=\alpha$. (იხ. [13], განმარტება 6.3.1.).

განმარტება 1.3. თუ D გაერთიანებათა ისეთი სრული $X-$ნახევარმესერია, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:

a) $\wedge(D,D_t)\in D$ ყოველი $t\in\breve{D}$;

b) $Z=\bigcup_{t\in Z}\wedge\left(D,D_t\right)$, ნებისმიერი არაცარიელი $Z\in D$ ელემენტისათვის,

მაშინ $D-$ს გაერთიანებათა სრული $XI-$ნახევარმესერი ეწოდება

(იხ. [13], განმარტება 1.14.2).

განმარტება 1.4. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერია, $\alpha\in B_X\left(D\right)$ და $Y_T^{\alpha}=\left\{x\in X \mid x\alpha=T\right\}$. თუ

$$V[\alpha]=\begin{cases} V(X^*,\alpha), \text{ თუ } \varnothing\notin D, \\ V(X^*,\alpha), \text{ თუ } \varnothing\in V(X^*,\alpha), \\ V(X^*,\alpha)\cup\{\varnothing\}, \text{ თუ } \varnothing\notin V(X^*,\alpha) \text{ და } \varnothing\in D, \end{cases}$$

მაშინ ცხადია, რომ $B_X\left(D\right)$ ნახევარჯგუფის ნებისმიერი α ბინარული მიმართება შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმით

$$\alpha=\bigcup_{T\in V[\alpha]}(Y_T^{\alpha}\times T)$$

შემდგომში α ბინარული მიმართების ასეთ სახით წარმოდგენას კვაზინორ-მალურს უწოდებენ.

შევნიშნოთ, რომ α ბინარული მიმართების კვაზინორმალური წარმოდგენის დროს არაა სავალდებულოო ნებისმიერი $T\in V[\alpha]-$სათვის Y_T^{α} განსხვავებული იყოს ცარიელი სიმრავლისაგან. მაგრამ ასეთი წარმოდგენისას ყოველთვის სრულდება პირობები:

a) $Y_T^{\alpha}\cap Y_{T'}^{\alpha}=\varnothing$, ნებისმიერი $T,T'\in D$ და $T\neq T'$;

b) $X=\bigcup_{T\in V[\alpha]}Y_T^{\alpha}$ (იხ. [13] განმარტება 1.11.1).

განმარტება 1.5. ვიტყვით, რომ არაცრიელ T სიმრავლეს ეწოდება D' სიმრავლის არაზღვარითი ელემენტი, თუ $T\setminus l\left(D',T\right)\neq\varnothing$ და ზღვარითი ელემენტი თუ $T\setminus l\left(D',T\right)=\varnothing$. (იხ. [13], განმარტება 1.13.1; განმარტება 1.13.2.).

განმარტება 1.6. რომელიმე φ ასახვას გაერთიანებათა სრულ $X-$ნახევარმესერებს D' და D'' შორის ეწოდება სრული იზომორფიზმი, თუ სამართლიანია შემდეგი ტოლობა

$\varphi(D_1)=\bigcup_{T'\in D_1}\varphi(T')$, D' ნახევარმესერის ნებისმიერი არაცარიელი D_1 ქვესიმრავლისთვის (იხ. [13] განმარტება 6.3.2).

განმარტება 1.7. ვთქვათ $\alpha\in B_X(D)$ იტყვიან, რომ φ სრული იზომორფიზმი Q და D' $(Q,D'\subseteq D)$ გაერთიანებათა სრულ $X-$ნახევარმესერებს შორის არის სრული $\alpha-$ იზომორფიზმი, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:

a) $Q=V(D,\alpha)$;

b) $\varphi(\varnothing)=\varnothing$ თუ $\varnothing\in V(D,\alpha)$ და $\varphi(T)\alpha=T$ ნებისმიერი $T\in V(D,\alpha)$

(იხ. [13] განმარტება 6.3.3).

განმარტება 1.8. ვთქვათ $\varepsilon\in B_X(D)$ თუ $\alpha\circ\varepsilon=\alpha$ ნებისმიერი $\alpha\in B_X(D)$, მაშინ ε ეწოდება $B_X(D)$ ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეული.

განმარტება 1.9 ვთქვათ $Q_i\vartheta_{XI}$ სიმბოლოთი აღვნიშნულია $\sum'_{XI}(X,D)$ სიმრავლეზე განსაზღვრული ϑ_{XI} ექვივალენტობის ის კლასი, რომლის ყოველი ელემენტი Q_i $(i=1,2,3,\ldots,16)$ გაერთიანებათა $X-$ნახევარმესერის იზომორფულია (იხ. განმარტება 2.1.6) და $R^*(Q_i)=\bigcup_{D'\in Q_i\vartheta_{XI}}R(D')$, სადაც $i=1,2,\ldots,16$.

შევნიშნოთ, რომ რადგან $\Omega(Q)=Q\vartheta_{XI}$, ამიტომ $R(D')$ სიმრავლე შეიძლება ასეც განიმარტოს, კერძოდ, თუ $D'\in Q\vartheta_{XI}$, მაშინ $R(D')$ არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა იმ რეგულარული α ელემენტების სიმრავლე, რომელთათვისაც Q და D' ერთმანეთის $\alpha-$ იზომორფულია და $V(D,\alpha)=D'$

თეორემა 1.1. ვთქვათ X სასრული სიმრავლეა, δ და q სიმბოლოებით შესაბამისად აღნიშნულია D ნახევარმესერის ყველა ბაზისურ წყაროთა რიცხვი და D ნახევარმესერის ყველა ავტომორფიზმთა რიცხვი. თუ $|X|=n\geq\delta$ და $|\Sigma_n(X,m)|=s$, მაშინ

$$s=\frac{1}{q}\cdot\sum_{p=\delta}^{m}\left(\sum_{i=1}^{p+1}\left(\frac{(-1)^{p+i+1}\cdot C_{m-\delta}^{p-\delta}\cdot C_p^{\delta}\cdot(\delta!)\cdot((p-\delta)!)\cdot i^n}{(i-1)!\ \cdot(p-i+1)!}\right)\right),$$

სადაც $C_j^k=\dfrac{j!}{k!\ \cdot(j-k)!}$ (იხ. [13], თეორემა 11.5.1).

თეორემა 1.2. ვთქვათ D არის გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერი. მაშინ $B_X(D)$ ნახევარჯგუფი შეიცავს მარჯვენა ერთეულს მაშინ და მხოლოდ მაშინ როცა D არის გაერთიანებათა $XI-$ნახევარმესერი. (იხ. [13], თეორემა 6.1.3).

თეორემა 1.3 ვთქვათ D სასრული გაერთიანებათა $X-$ნახევარმესერია, $\alpha\in B_X(D)$, $D(\alpha)$ არის $Q=V(D,\alpha)\setminus\{\varnothing\}$ ნახევარმესერის ყველა იმ T ელემენტების სიმრავლე, რომლებიც არაზღვარითია $\ddot{Q}_T\ (T\in Q)$ სიმრავლეში და $\alpha=\bigcup\limits_{T\in V(D,\alpha)}\left(Y_T^\alpha\times T\right)$ არის α ბინარული მიმართების კვაზინორმალური წარმოდგენა. ასეთ შემთხვევაში α ბინარული მიმართება იქნება $B_X(D)$ ნახევარჯგუფის რეგულარული ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $V(D,\alpha)$ გაერთიანებათა $XI-$ნახევარმესერია და რომელიღაც φ სრული $\alpha-$იზომორფიზმისათვის $V(D,\alpha)$ და $D'\ (D'\subseteq D)$ ნახევარმესერებს შორის სრულდება შემდეგი პირობები:

a) $\bigcup\limits_{T'\in\ddot{D}(\alpha)_T} Y_{T'}^\alpha\supseteq\varphi(T)$ ყოველი $T\in D(\alpha)$სათვის;

b) $Y_T^\alpha\cap\varphi(T)\neq\varnothing$ ყოველი არაზღვარითი $T\in\ddot{D}(\alpha)_T-$სათვის

(იხ. [13], თეორემა 6.3.3).

თეორემა 1.4. ვთქვათ R_D არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა რეგულარული ელემენტების სიმრავლე, მაშინ სამართლიანია შემდეგი წინადადებები:

a) $R(D')\cap R(D'')=\varnothing$ ნებისმიერი $D',D''\in\Sigma_{XI}(D)$ და $D'\neq D''$;

b) $R_D=\bigcup\limits_{D'\in\Sigma_{XI}(D)}R(D')$;

c) თუ X არის სასრული სიმრავლე, მაშინ $|R_D|=\sum\limits_{D'\in\Sigma_{XI}(D)}|R(D')|$

(იხ.[13],თეორემა 6.3.6).

თეორემა 1.5. $B_X(D)$ ნახევარჯგუფის α რეგულარული ელემენტი არის ამავე ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემეტი მაშინ და მხოლოდ მაშინ როდესაც φ ასახვა რომელიც განმარტებულია პირობით $\varphi(T)=T\alpha$ ნებისმიერი $T\in V(D,\alpha)$-თვის არის $V(D,\alpha)$ ნახევარმესერის იგივური ასახვა. (იხ. [13], თეორემა 6.3.4).

თეორემა 1.6. ვთქვათ X სასრული სიმრავლეა და $D(\alpha)$ არის $Q=V(D,\alpha)\setminus\{\varnothing\}$ ნახევარმესერის ისეთი T ელემენტების სიმრავლე, რომლებიც $\ddot{Q}_T$ სიმრავლის არაზღვარითი ელემენტებია. α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha=\bigcup\limits_{T\in V(D,\alpha)}\left(Y_T^\alpha\times T\right)$, არის მოცემული ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

a) $V(D,\alpha)$ არის გაერთიანებათა სრული $XI-$ნახევარმესერი;

b) $\bigcup\limits_{T'\in\ddot{D}(\alpha)_T} Y_{T'}^\alpha\supseteq T$ ნებისმიერი $T\in D(\alpha)$;

c) $Y_T^\alpha\cap T\neq\varnothing$ ნებისმიერი არაზღვარითი T ემელენტისათვის $\ddot{D}(\alpha)_T$ სიმრავლიდან

თეორემა 1.7. ვთქვათ D, $\Sigma(D)$, $E_X^{(r)}(D')$ და I სიმრავლეები შესაბამისად არიან გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერი, მოცემული D ნახევარმესერის ყველა $XI-$ ქვენახევარმესერების სიმრავლე, $B_X(D')$ $\left(D'\in\Sigma(D)\right)$ ნახევარჯგუფის ყველა მარჯვენა ერთეულების სიმრავლე და $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა იდემპოტენტური ელემენტების სიმრავლე. მაშინ შემდეგი პირობები არის სამართლიანი:

a) თუ $\varnothing\in D$ და $\Sigma_\varnothing(D)=\left\{D'\in\Sigma(D)\,|\,\varnothing\in D'\right\}$, მაშინ

1) $E_X^{(r)}(D')\cap E_X^{(r)}(D'')=\varnothing$ ნებისმიერი $D'\neq D''$ ელემენტებისათვის $\Sigma_\varnothing(D)$ სიმ-რავლიდან

.

2) $I=\bigcup\limits_{D'\in\Sigma_\varnothing(D)} E_X^{(r)}(D')$;

3) თუ X სასრულო სიმრავლეა, მაშინ $|I|=\sum\limits_{D'\in\Sigma_\varnothing(D)}\left|\,E_X^{(r)}(D')\,\right|$

b) if $\varnothing\notin D$, მაშინ

1) $E_X^{(r)}(D')\cap E_X^{(r)}(D'')=\varnothing$ ნებისმიერი $D'\neq D''$ ელემენტებისათვის $\Sigma(D)$ სიმრავლიდან;

2) $I=\bigcup_{D'\in\Sigma(D)} E_X^{(r)}(D')$;

3) თუ X სასრული სიმრავლე, მაშინ $|I|=\sum_{D'\in\Sigma(D)}\left|E_X^{(r)}(D')\right|$ (იხ.[13], თეორემა 6.2.3).

თეორემა 1.8. $\alpha\in B_X(D)$ ბინარული მიმართება მაშინ და მხოლოდ მაშინ არის მოცემული ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეული, როცა α იდემპოტენტია და $D=V(D,\alpha)$ (იხ.[13], თეორემა 4.1.3).

თეორემა 1.9. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერია. $B_X(D)$ ნახევარჯგუფი მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიცავს მარჯვენა ერთეულს, როცა D არის $XI-$ ნახევარმესერი.

ლემა 1.1. ვთქვათ $Y=\{y_1,y_2,...,y_k\}$ და $D_j=\{T_1,...,T_j\}$ რაღაც სიმრავლეებია, სადაც $k\geq 1$ და $j\geq 1$. მაშინ Y სიმრავლის ყველა შესაძლო ასახვათა $s(k,j)$ რიცხვი D_j სიმრავლის ისეთ D'_j ქვესიმრავლეზე, რომ $T_j\in D'_j$, შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით $s(k,j)=j^k-(j-1)^k$ (იხ.([13], შედეგი 1.18.1).

ლემა 1.2. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერია. თუ ε ბინარული მიმართება წარმოდგენილი შემდეგი სახით

$$\varepsilon=\bigcup_{t\in\breve{D}}\left(\{t\}\times\wedge(D,D_t)\right)\cup\left(\left(X\setminus\breve{D}\right)\times\breve{D}\right)$$

არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეული, მაშინ ε არის უდიდესი მარჯვენა ერთეული მოცემული ნახევარჯგუფის (იხ.[13], ლემა 12.1.2).

ლემა 1.3. ვთქვათ $D_j=\{T_1,T_2,...T_j\}$, X და $Y-$ ისეთი სიმრავლეებია, რომ $\varnothing\neq Y\subseteq X$. თუ f არის ისეთი ასახვა X სიმრავლისა D_j სიმრავლეში, რომ $f(y)=T_j$ რომელიღაც $y\in Y$, მაშინ ასეთი f ასახვების s რიცხვი გამოითვლება ფორმულით $s=j^{|X\setminus Y|}\cdot\left(j^{|Y|}-(j-1)^{|Y|}\right)$ (იხ.([13], თეორემა 1.18.1).

თეორემა 1.10. ვთქვათ $D=\left\{\breve{D},Z_1,Z_2,...,Z_{m-1}\right\}$ გაერთიანებათა რომელიღაც სრული X – ნახევარმესერია, ხოლო $C(D)=\left\{P_0,P_1,P_2,...,P_{m-1}\right\}$ არის X სიმრავლის წყვილ- წყვილად თანაუკვეთ ქვესიმრავლეთა რაღაც ოჯახი. თუ φ არის D ნახევარმესერის $C(D)$ სიმრავლეთა ოჯახზე ასახვა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს $\varphi(\breve{D})=P_0$ და $\varphi(Z_i)=P_i$ ნებისმიერი $i=1,2,...,m-1$ და $\hat{D}_Z=D\setminus\{T\in D\,|\,Z\subseteq T\}$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობები:

$$\breve{D}=P_0\cup P_1\cup P_2\cup...\cup P_{m-1},$$

$$Z_i=P_0\cup\bigcup_{T\in\hat{D}_{Z_i}}\varphi(T)\,(1.2)$$

ამ ტოლობებს შემდეგში ფორმალური ტოლობები ეწოდება.

მტკიცდება, რომ D ნახევარმესერის ელემენტების (1.2) წარმოდგენისას P_i $(i=0,1,2,...,m-1)$ პარამეტრებს შორის არსებობს ისეთები, რომლებიც მოცემული D ნახევარმესერისათვის არ შეიძლება იყვნენ ცარიელი სიმრავლეები. ასეთ P_i $(0<i\le m-1)$ სიმრავლეებს ბაზისური წყაროები ეწოდება და შემდგომში მათ რიცხვს აღვნიშნავთ δ სიმბოლოთი, ხოლო იმ P_j $(0\le j\le m-1)$ პარამეტრებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ ცარიელი სიმრავლეებიც, სისავსის წყაროები ეწოდება.

მტკიცდება, რომ φ ასახვისას ბაზისური წყაროს წინასახის დამფარავი ელემენტების რაოდენობა ყოველთვის ერთის ტოლია, ხოლო სისავსის წყაროების დამფარავი ელემენტები ან არ არსებობენ, ან მათი რაოდენობა მეტია ერთზე.

თეორემა 1.11. ვთქვათ $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m\ge 1)$ არის D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომლისთვისაც $T_0\subset T_1\subset T_2\subset...\subset T_m$, მაშინ Q ყოველთვის იქნება გაერთიანებათა $XI-$ნახევარმესერი.

თეორემა 1.12. ვთქვათ $Q=\left\{T_0,T_1,...,T_j,...,T_m\right\}$ $(m\ge 3)$არის D გაერთიანებათა სრული $X-$ ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი და j არის ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვი, რომ $0\le j\le m-3$ და

$$T_0 \subset T_1 \subset \ldots \subset T_j \subset T_{j+1} \subset T_{j+3} \subset \ldots \subset T_m,$$
$$T_0 \subset T_1 \subset \ldots \subset T_j \subset T_{j+2} \subset T_{j+3} \subset \ldots \subset T_m,$$
$$T_{j+1} \setminus T_{j+2} \neq \varnothing, T_{j+2} \setminus T_{j+1} \neq \varnothing, T_{j+1} \cup T_{j+2} = T_{j+3}$$

მაშინ Q ყოველთვის იქნება გაერთიანებათა $XI-$ნახევარმესერი.

თეორემა 1.13. თუ Q არის ბადე, მაშინ ის ყოველთვის იქნება გაერთიანებათა $XI-$ ნახევარმესერი

თეორემა 1.15. ვთქვათ $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m \geq 1)$ არის გაერთიანებათა D ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ $T_0 \subset T_1 \subset \ldots \subset T_m$. მაშინ $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{i=0}^{m}(Y_i^{\alpha} \times T_i)$ და სრულდება პირობა $Q=V(D,\alpha)$, არის მოცემული $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის რეგულარული ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სრული φ $\alpha-$იზომორფიზმი Q ნახევარმესერიდან D ნახევარმესერის რომელიღაც $D' = \{\varphi(T_0), \varphi(T_1), ..., \varphi(T_m)\}$ ქვენახევარმესერზე , რომ სრულდება შემდეგი პირობები $Y_0^{\alpha} \cup Y_1^{\alpha} \cup \ldots \cup Y_p^{\alpha} \supseteq \varphi(T_p)$ და $Y_q^{\alpha} \cap \varphi(T_q) \neq \varnothing$ ნებისმიერი $p=0,1,...,m-1$ და $q=1,2,\ldots,m$. (იხ.[13], თეორემა 13.1.1).

შედეგი 1.1. ვთქვათ $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m \geq 1)$არის გაერთიანებათა D ნახევარმესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ $T_0 \subset T_1 \subset \ldots \subset T_m$. მაშინ $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{i=0}^{m}(Y_i^{\alpha} \times T_i)$ და სრულდება პირობა $Q=V(D,\alpha)$, არის მოცემული $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $Y_0^{\alpha} \cup Y_1^{\alpha} \cup \ldots \cup Y_p^{\alpha} \supseteq T_p$ და $Y_q^{\alpha} \cap T_q \neq \varnothing$ ნებისმიერი $p=0,1,...,m-1$ და $q=1,2,\ldots,m$

(იხ.[13], შედეგი 13.1.1).

თეორემა 1.16. ვთქვათ $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $(m \geq 1)$ არის D გაერთიანების ნახევარ-მესერის ისეთი ქვენახევარმესერი, რომ $T_0 \subset T_1 \subset \ldots \subset T_m$. თუ გაერთიანებათა $Q=\{T_0,T_1,...,T_m\}$ $XI-$ ნახევარმესერი და $D' = \{\overline{T}_0, \overline{T}_1, \ldots, \overline{T}_m\}$ არიან იზომორფულები და $|\Omega(Q)| = m_0$, მაშინ

$$\left|R\left(D'\right)\right| = m_0 \cdot \left(2^{\left|\overline{T}_1 \setminus \overline{T}_0\right|} - 1\right) \cdot \left(3^{\left|\overline{T}_2 \setminus \overline{T}_1\right|} - 2^{\left|\overline{T}_2 \setminus \overline{T}_1\right|}\right) \cdots \left(\left(m+1\right)^{\left|\overline{T}_m \setminus \overline{T}_{m-1}\right|} - m^{\left|\overline{T}_m \setminus \overline{T}_{m-1}\right|}\right) \cdot \left(m+1\right)^{\left|X \setminus \overline{T}_m\right|}.$$

(იხ.[13], თეორემა 13.1.2).

შედეგი 1.2. ვთქვათ $Q = \{T_0, T_1, ..., T_m\}$ $(m \geq 1)$ არის გაერთიანებათა ნახევარმესესრი, სადაც $T_0 \subset T_1 \subset ... \subset T_m$. თუ $E_X^{(r)}(Q)$ არის $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის მარჯვენა ერთეულების სიმრავლე , მაშინ

$$\left|E_X^{(r)}(Q)\right| = \left(2^{\left|T_1 \setminus T_0\right|} - 1\right) \cdot \left(3^{\left|T_2 \setminus T_1\right|} - 2^{\left|T_2 \setminus T_1\right|}\right) \cdots \left(\left(m+1\right)^{\left|T_m \setminus T_{m-1}\right|} - m^{\left|T_m \setminus T_{m-1}\right|}\right) \cdot \left(m+1\right)^{\left|X \setminus T_m\right|}.$$

(იხ.[13], შედეგი 13.1.5).

თეორემა 1.17. ვთქვათ $Q = \left\{T_0, T_1, ..., T_j, ..., T_m\right\}$ $(m \geq 3)$ არის გაერთიანებათა სრული X - ნახევარმესერი და j ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვია, რომ $0 \leq j \leq m-3$ და

$$T_0 \subset T_1 \subset ... \subset T_j \subset T_{j+1} \subset T_{j+3} \subset ... \subset T_m,\ T_0 \subset T_1 \subset ... \subset T_j \subset T_{j+2} \subset T_{j+3} \subset ... \subset T_m,$$
$$T_{j+1} \setminus T_{j+2} \neq \varnothing, T_{j+2} \setminus T_{j+1} \neq \varnothing, T_{j+1} \cup T_{j+2} = T_{j+3}.$$

მაშინ $B_X(Q)$ ნეხევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{i=0}^{m}\left(Y_i^\alpha \times T_i\right)$ და სრულდება პირობა $Q = V\left(D, \alpha\right)$, არის $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის რეგულარული ელემენტი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ისეთი φ სრული $\alpha-$იზომორფიზმი Q ნახევარმესერისა D ნახევარმესერის რომელიღაც $D' = \left\{\varphi\left(T_0\right), ..., \varphi\left(T_m\right)\right\}$ ქვენახევარმესერზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup ... \cup Y_j^\alpha \supseteq \varphi\left(T_{j+1}\right) \cap \varphi\left(T_{j+2}\right),\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup ... \cup Y_j^\alpha \cup Y_{j+2}^\alpha \supseteq \varphi\left(T_{j+2}\right),$$
$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup ... \cup Y_p^\alpha \supseteq \varphi\left(T_p\right),\ Y_q^\alpha \cap \varphi\left(T_q\right) \neq \varnothing$$

ნებისმიერი $p = 0, 1, 2, ..., m-1$, $q = 1, 2, ..., m$ -თვის, $\left(p \neq j+2,\ q \neq j+3\right)$

(იხ.[13], თეორემა 13.3.1).

შედეგი 1.3. ვთქვათ $Q = \left\{T_0, T_1, ..., T_j, ..., T_m\right\}$ $(m \geq 3)$ არის ნახევარმესერი და j ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვია, რომ $0 \leq j \leq m-3$ და

$$T_0 \subset T_1 \subset ... \subset T_j \subset T_{j+1} \subset T_{j+3} \subset ... \subset T_m,\ T_0 \subset T_1 \subset ... \subset T_j \subset T_{j+2} \subset T_{j+3} \subset ... \subset T_m,$$
$$T_{j+1} \setminus T_{j+2} \neq \varnothing,\ T_{j+2} \setminus T_{j+1} \neq \varnothing,\ T_{j+1} \cup T_{j+2} = T_{j+3}.$$

მაშინ $B_X(Q)$ ნეხევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha=\bigcup_{i=0}^{m}\left(Y_i^\alpha\times T_i\right)$ და სრულდება პირობა $Q=V(D,\alpha)$, არის $B_X(D)$ ნეხევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$Y_0^\alpha\cup Y_1^\alpha\cup\ldots\cup Y_j^\alpha\supseteq T_{j+1}\cap T_{j+2},\ Y_0^\alpha\cup Y_1^\alpha\cup\ldots\cup Y_j^\alpha\cup Y_{j+2}^\alpha\supseteq T_{j+2},$$
$$Y_0^\alpha\cup Y_1^\alpha\cup\ldots\cup Y_p^\alpha\supseteq T_p,\ Y_q^\alpha\cap T_q\neq\varnothing$$

ნებისმიერი $p=0,1,2,\ldots,m-1$, $q=1,2,\ldots,m$ $\left(p\neq j+2,\ q\neq j+3\right)$

(იხ.[13], შედეგი 13.3.1).

თეორემა. 1.18. ვთქვათ $Q=\left\{T_0,T_1,\ldots,T_j,\ldots,T_m\right\}(m\geq 3)$ არის D გაერთიანებათა სრული X ნახევარმესერი და j არის ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვი, რომ $0\leq j\leq m-3$ და

$$T_0\subset T_1\subset\ldots\subset T_j\subset T_{j+1}\subset T_{j+3}\subset\ldots\subset T_m,\ T_0\subset T_1\subset\ldots\subset T_j\subset T_{j+2}\subset T_{j+3}\subset\ldots\subset T_m,$$
$$T_{j+1}\setminus T_{j+2}\neq\varnothing, T_{j+2}\setminus T_{j+1}\neq\varnothing, T_{j+1}\cup T_{j+2}=T_{j+3}.$$

თუ $XI-$ნახევარმესერები $Q=\left\{T_0,T_1,\ldots,T_m\right\}$ და $D'=\left\{\overline{T}_0,\overline{T}_1,\ldots,\overline{T}_m\right\}$ ერთმანეთის $\alpha-$იზომორფულია და $\left|\Omega(Q)\right|=m_0$, მაშინ

$$\textbf{a})\ \left|R(D')\right|=2\cdot m_0\cdot\left(2^{\left|\overline{T}_1\setminus\overline{T}_2\right|}-1\right)\cdot\left(2^{\left|\overline{T}_2\setminus\overline{T}_1\right|}-1\right)\cdot\left(5^{\left|\overline{T}_4\setminus\overline{T}_3\right|}-4^{\left|\overline{T}_4\setminus\overline{T}_3\right|}\right)\cdots$$
$$\cdots\left((m+1)^{\left|\overline{T}_m\setminus\overline{T}_{m-1}\right|}-m^{\left|\overline{T}_m\setminus\overline{T}_{m-1}\right|}\right)\cdot(m+1)^{\left|X\setminus\overline{T}_m\right|},$$

თუ $j=0$ (ე.ი. $T_j=T_0$);

$$\textbf{b})\ \left|R(D')\right|=2\cdot m_0\cdot\left(2^{\left|\overline{T}_1\setminus\overline{T}_0\right|}-1\right)\cdots\left((j+1)^{\left|\overline{T}_{j-1}\setminus\overline{T}_{j-2}\right|}-j^{\left|\overline{T}_{j-1}\setminus\overline{T}_{j-2}\right|}\right)\cdot(j+1)^{\left|(\overline{T}_{j+1}\cap\overline{T}_{j+2})\setminus\overline{T}_j\right|}\cdot\left((j+2)^{\left|\overline{T}_{j+1}\setminus\overline{T}_{j+2}\right|}-(j+1)^{\left|\overline{T}_{j+1}\setminus\overline{T}_{j+2}\right|}\right)\cdot$$
$$\cdot\left((j+2)^{\left|\overline{T}_{j+2}\setminus\overline{T}_{j+1}\right|}-(j+1)^{\left|\overline{T}_{j+2}\setminus\overline{T}_{j+1}\right|}\right)\cdot\left((j+5)^{\left|\overline{T}_{j+4}\setminus\overline{T}_{j+3}\right|}-(j+4)^{\left|\overline{T}_{j+4}\setminus\overline{T}_{j+3}\right|}\right)\cdot\left((m+1)^{\left|\overline{T}_m\setminus\overline{T}_{m-1}\right|}-m^{\left|\overline{T}_m\setminus\overline{T}_{m-1}\right|}\right)\cdot(m+1)^{\left|X\setminus\overline{T}_m\right|}.$$

თუ $1\leq j\leq m-3$ $\left(T_j\neq T_0\right)$

(იხ.[13], თეორემა 13.3.2).

შედეგი 1.4. ვთქვათ $Q=\left\{T_0,T_1,\ldots,T_j,\ldots,T_m\right\}$ $(m\geq 3)$ არის ნახევარმესერი და j არის ისეთი ფიქსირებული ნატურალური რიცხვი, რომ $0\leq j\leq m-3$და

$$T_0\subset T_1\subset\ldots\subset T_j\subset T_{j+1}\subset T_{j+3}\subset\ldots\subset T_m,\ T_0\subset T_1\subset\ldots\subset T_j\subset T_{j+2}\subset T_{j+3}\subset\ldots\subset T_m,$$
$$T_{j+1}\setminus T_{j+2}\neq\varnothing, T_{j+2}\setminus T_{j+1}\neq\varnothing, T_{j+1}\cup T_{j+2}=T_{j+3}.$$

თუ $E_X^{(r)}(Q)$ არის $B_X(Q)$ ნახევარმესერის ყველა მარჯვენა ერთეულების სიმრავლე, მაშინ შემდეგი პირობები არის სამართლიანი:

a) $\left|E_X^{(r)}(Q)\right| = \left(2^{|T_1\setminus T_2|}-1\right)\cdot\left(2^{|T_2\setminus T_1|}-1\right)\cdot\left(5^{|T_4\setminus T_3|}-4^{|T_4\setminus T_3|}\right)\cdots\left((m+1)^{|T_m\setminus T_{m-1}|}-m^{|T_m\setminus T_{m-1}|}\right)\cdot(m+1)^{|X\setminus T_m|}$,

თუ $j=0$ $\left(i.e.,\ T_j = T_0\right)$;

b) $\left|E_X^{(r)}(Q)\right| = \left(2^{|T_1\setminus T_0|}-1\right)\cdots\left((j+1)^{|\bar{T}_j\setminus \bar{T}_{j-1}|}-j^{|\bar{T}_j\setminus \bar{T}_{j-1}|}\right)\cdot(j+1)^{|(T_{j+1}\cap T_{j+2})\setminus T_j|}\cdot\left((j+2)^{|T_{j+1}\setminus T_{j+2}|}-(j+1)^{|T_{j+1}\setminus T_{j+2}|}\right)\cdot$
$\cdot\left((j+2)^{|T_{j+2}\setminus T_{j+1}|}-(j+1)^{|T_{j+2}\setminus T_{j+1}|}\right)\cdot\left((j+5)^{|T_{j+4}\setminus T_{j+3}|}-(j+4)^{|T_{j+4}\setminus T_{j+3}|}\right)\cdots\left((m+1)^{|T_m\setminus T_{m-1}|}-m^{|T_m\setminus T_{m-1}|}\right)\cdot(m+1)^{|X\setminus T_m|}$,

თუ $1\le j\le m-3$ $\left(T_j \ne T_0\right)$ (იხ.[13], შედეგი 13.3.3).

თეორემა 1.19. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერის Q ქვენახევარმესერი არის ბადე. მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{T_{ij}\in Q}\left(Y_{ij}^{\alpha}\times T_{ij}\right)$ და სრულდება პირობა $Q = V(D,\alpha)$, არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის რეგულარული ელემენტი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ისეთი φ სრული $\alpha-$იზომორფიზმი Q ნახევარმესერისა D ნახევარმესერის რომელიღაც D' ქვენახევარმესერზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$\begin{aligned}
&Y_{00}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{0k})\cap\varphi(T_{s0}),\ Y_{00}^{\alpha}\cup Y_{01}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{01}),\ Y_{00}^{\alpha}\cup Y_{01}^{\alpha}\cup Y_{02}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{02}),\dots\\
&\dots,Y_{00}^{\alpha}\cup Y_{01}^{\alpha}\cup Y_{02}^{\alpha}\cup\dots\cup Y_{0k}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{0k}),\ Y_{00}^{\alpha}\cup Y_{10}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{10}),\\
&Y_{00}^{\alpha}\cup Y_{10}^{\alpha}\cup Y_{20}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{20}),\dots,Y_{00}^{\alpha}\cup Y_{10}^{\alpha}\cup Y_{20}^{\alpha}\cup\dots\cup Y_{s0}^{\alpha}\supseteq\varphi(T_{s0}),\ Y_{ij}^{\alpha}\cap\varphi(T_{ij})\ne\varnothing
\end{aligned}$$

ნებისმიერი $T_{ij}\in(Q_1\cup Q_2)\setminus\{\varnothing\}$ -თვის (იხ.[13], თეორემა 13.7.1).

შედეგი 1.5. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერის Q ქვენახევარმესერი არის ბადე. მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{T_{ij}\in Q}\left(Y_{ij}^{\alpha}\times T_{ij}\right)$ და სრულდება პირობა $Q = V(D,\alpha)$, არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა

$$
\begin{aligned}
&Y_{00}^{\alpha} \supseteq T_{0k} \cap T_{s0},\ Y_{00}^{\alpha} \cup Y_{01}^{\alpha} \supseteq T_{01},\ Y_{00}^{\alpha} \cup Y_{01}^{\alpha} \cup Y_{02}^{\alpha} \supseteq T_{02},\ldots \\
&\ldots, Y_{00}^{\alpha} \cup Y_{01}^{\alpha} \cup Y_{02}^{\alpha} \cup \ldots \cup Y_{0k}^{\alpha} \supseteq T_{0k},\ Y_{00}^{\alpha} \cup Y_{10}^{\alpha} \supseteq T_{10}, \\
&Y_{00}^{\alpha} \cup Y_{10}^{\alpha} \cup Y_{20}^{\alpha} \supseteq T_{20},\ldots, Y_{00}^{\alpha} \cup Y_{10}^{\alpha} \cup Y_{20}^{\alpha} \cup \ldots \cup Y_{s0}^{\alpha} \supseteq T_{s0}, \\
&Y_{ij}^{\alpha} \cap T_{ij} \neq \varnothing
\end{aligned}
$$

ნებისმიერი $T_{ij} \in (Q_1 \cup Q_2) \setminus \{\varnothing\}$. (იხ.[13], თეორემა 13.7.2).

თეორემა 1.20. ვთქვათ D გაერთიანებათა სრული $X-$ნახევარმესერის $Q = \{T_{00}, T_{01}, T_{10}, T_{11}, T_{20}, T_{21}\}$ ქვენახევარმესერი არის ბადე. თუ $XI-$ნახევარმესერები Q და $D' = \{\overline{T}_{00}, \overline{T}_{01}, \overline{T}_{10}, \overline{T}_{11}, \overline{T}_{20}, \overline{T}_{21}\}$ ერთმანეთის $\alpha-$ იზომორფულია და $|\Omega(Q)| = m_0$, მაშინ

$$
|R(D')| = m_0 \cdot \left(2^{|\overline{T}_{01} \setminus \overline{T}_{20}|} - 1\right) \cdot \left(2^{|\overline{T}_{10} \setminus \overline{T}_{01}|} - 1\right) \cdot \left(3^{|\overline{T}_{20} \setminus \overline{T}_{11}|} - 2^{|\overline{T}_{20} \setminus \overline{T}_{11}|}\right) \cdot 6^{|X \setminus \overline{T}_{21}|}
$$

(იხ.[13], შედეგი 13.7.3).

შედეგი 1.6. ვთქვათ Q გაერთიანებათა X – ნახევარმესერი არის ბადე. თუ $E_X^{(r)}(Q)$ სიმბოლოთი ავღნიშნავთ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის ყველა მარჯვენა ერთეულების სიმრავლეს, მაშინ მათი რიცხვი გამოითვლება ფორმულით

$$
\begin{aligned}
\left|E_X^{(r)}(Q)\right| = &\left(2^{|T_{10} \setminus T_{0k}|} - 1\right) \cdot \left(3^{|T_{20} \setminus T_{1k}|} - 2^{|T_{20} \setminus T_{1k}|}\right) \cdots \left(s^{|T_{s-10} \setminus T_{s-2k}|} - (s-1)^{|T_{s-10} \setminus T_{s-2k}|}\right) \cdot \\
&\cdot \left((s+1)^{|T_{s0} \setminus T_{s-1k}|} - s^{|T_{s0} \setminus T_{s-1k}|}\right) \cdot \left(2^{|T_{01} \setminus T_{s0}|} - 1\right) \cdot \left(3^{|T_{02} \setminus T_{s1}|} - 2^{|T_{02} \setminus T_{s1}|}\right) \cdots \\
&\cdot \left(k^{|T_{0k-1} \setminus T_{sk-2}|} - (k-1)^{|T_{0k-1} \setminus T_{sk-2}|}\right) \cdot \left((k+1)^{|T_{0k} \setminus T_{sk-1}|} - k^{|T_{0k} \setminus T_{sk-1}|}\right) \cdot |D|^{|X \setminus T_{sk}|}.
\end{aligned}
$$

(იხ.[13], შედეგი 13.7.1).

თეორემა 1.21. ვთქვათ Q არის გაერთიანებათა ნახევარმესერი, რომელიც მოცემულია ნახაზი 1.1-ზე მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება , რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{i=0}^{m} \left(Y_i^{\alpha} \times T_i\right)$ და სრულდება პირობა $Q = V(D, \alpha)$, არის $B_X(D)$ ნახევარჯგუფის რეგულარული ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს φ სრული D იზომორფიზმი გაერთიანებათა Q ნახევარმესერისა D ნახევარმესერის D' რომელიღაც ქვენახევარესერზე რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$Y_0^\alpha \supseteq \varphi(T_0),\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \supseteq \varphi(T_1),\ Y_0^\alpha \cup Y_2^\alpha \supseteq \varphi(T_2),$$
$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup Y_2^\alpha \cup Y_3^\alpha \cup Y_4^\alpha \supseteq \varphi(T_4),\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup Y_2^\alpha \cup Y_3^\alpha \cup Y_5^\alpha \supseteq \varphi(T_5),\ldots,$$
$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup \ldots \cup Y_{m-3}^\alpha \cup Y_{m-2}^\alpha \supseteq \varphi(T_{m-2}),\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup \ldots \cup Y_{m-3}^\alpha \cup Y_{m-1}^\alpha \supseteq \varphi(T_{m-1}),$$
$$Y_1^\alpha \cap \varphi(T_1) \neq \varnothing,\ Y_2^\alpha \cap \varphi(T_2) \neq \varnothing,\ Y_4^\alpha \cap \varphi(T_4) \neq \varnothing,\ Y_5^\alpha \cap \varphi(T_5) \neq \varnothing,\ldots,$$
$$Y_{m-2}^\alpha \cap \varphi(T_{m-2}) \neq \varnothing,\ Y_{m-1}^\alpha \cap \varphi(T_{m-1}) \neq \varnothing.$$

(იხ. [13], თეორემა 13.11.1).

შედეგი 1.7. ვთქვათ Q არის გაერთიანებათა ნახევარმესერი, რომელიც მოცემულია ნახაზი 1.1-ზე. მაშინ $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის α ბინარული მიმართება, რომლის კვაზინორმალურ წარმოდგენას აქვს სახე $\alpha = \bigcup_{i=0}^{m}(Y_i^\alpha \times T_i)$ და სრულდება პირობა $Q = V(D,\alpha)$, არის მოცემული $\varphi(\breve{D}) = C$ ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ , როცა

$$Y_0^\alpha \supseteq T_0,\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \supseteq T_1,\ Y_0^\alpha \cup Y_2^\alpha \supseteq T_2,$$
$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup Y_2^\alpha \cup Y_3^\alpha \cup Y_4^\alpha \supseteq T_4,\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup Y_2^\alpha \cup Y_3^\alpha \cup Y_5^\alpha \supseteq T_5,\ldots,$$
$$Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup \ldots \cup Y_{m-3}^\alpha \cup Y_{m-2}^\alpha \supseteq T_{m-2},\ Y_0^\alpha \cup Y_1^\alpha \cup \ldots \cup Y_{m-3}^\alpha \cup Y_{m-1}^\alpha \supseteq T_{m-1},$$
$$Y_1^\alpha \cap T_1 \neq \varnothing,\ Y_2^\alpha \cap T_2 \neq \varnothing,\ Y_4^\alpha \cap T_4 \neq \varnothing,\ Y_5^\alpha \cap T_5 \neq \varnothing,\ldots,$$
$$Y_{m-2}^\alpha \cap T_{m-2} \neq \varnothing,\ Y_{m-1}^\alpha \cap T_{m-1} \neq \varnothing.$$

(იხ.[13], თეორემა 13.11.2).

თეორემა 1.22. ვთქვათ Q არის გაერთიანებათა ნახევარმესერი, რომელიც მოცემულია ნახაზი 1.1-ზე. თუ Q ნახევარმესერი და $D' = \{\bar{T}_0, \bar{T}_1, \bar{T}_2, \bar{T}_3, \ldots,, \bar{T}_{m-3}, \bar{T}_{m-2}, \bar{T}_{m-1}, \bar{T}_m\}$ არიან $\alpha-$ იზომორფული და $|\Omega(Q)| = m_0$, მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობა :

$$\left|R(D')\right| = m_0 \cdot q \cdot \left(2^{|\bar{T}_2 \setminus \bar{T}_1|} - 1\right) \cdot \left(2^{|\bar{T}_1 \setminus \bar{T}_2|} - 1\right) \cdot 4^{|(\bar{T}_5 \cap \bar{T}_4) \setminus \bar{T}_3|} \cdot \left(5^{|\bar{T}_5 \setminus \bar{T}_4|} - 4^{|\bar{T}_5 \setminus \bar{T}_4|}\right) \cdot \left(5^{|\bar{T}_4 \setminus \bar{T}_5|} - 4^{|\bar{T}_4 \setminus \bar{T}_5|}\right) \cdots$$
$$\cdot (m-2)^{|(\bar{T}_{m-1} \cap \bar{T}_{m-2}) \setminus \bar{T}_{m-3}|} \cdot \left((m-1)^{|\bar{T}_{m-1} \setminus \bar{T}_{m-2}|} - (m-2)^{|\bar{T}_{m-1} \setminus \bar{T}_{m-2}|}\right) \cdot$$
$$\cdot \left((m-1)^{|\bar{T}_{m-2} \setminus \bar{T}_{m-1}|} - (m-2)^{|\bar{T}_{m-2} \setminus \bar{T}_{m-1}|}\right) \cdot |Q|^{|X \setminus \bar{T}_m|}. \square$$

(იხ.[13], თეორემა 13.11.4).

შედეგი 1.8. ვთქვათ Q არის გაერთიანებათა ნახევარმესერი რომელიც მოცემულია ნახაზი 1.1-ზე.და $E_X^{(r)}(Q)$ არის $B_X(Q)$ ნახევარჯგუფის ყველა მარჯვენა ერთეულების სიმრავლე . თუ X სასრულო სიმრავლეა მაშინ სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$\left|E_X^{(r)}(Q)\right| = \left(2^{|T_2\setminus T_1|}-1\right)\cdot\left(2^{|T_1\setminus T_2|}-1\right)\cdot 4^{|(T_5\cap T_4)\setminus T_3|}\cdot\left(5^{|T_5\setminus T_4|}-4^{|T_5\setminus T_4|}\right)\cdot\left(5^{|T_4\setminus T_5|}-4^{|T_4\setminus T_5|}\right)\cdots$$
$$\cdot(m-2)^{|(T_{m-1}\cap T_{m-2})\setminus T_{m-3}|}\cdot\left((m-1)^{|T_{m-1}\setminus T_{m-2}|}-(m-2)^{|T_{m-1}\setminus T_{m-2}|}\right)\cdot$$
$$\cdot\left((m-1)^{|T_{m-2}\setminus T_{m-1}|}-(m-2)^{|T_{m-2}\setminus T_{m-1}|}\right)\cdot|Q|^{|X\setminus T_m|}.$$

(იხ.[13], შედეგი 13.10.1).

თეორემა 1.23. ვთქვათ X სარულო სიმრავლეა. თუ φ არის ფიქსირებული ელემენტი სიმრავლიდან $\Phi(Q,D')$ და $\Omega(Q)=m_0$ მაშინ $|R(D')| = m_0\cdot q\cdot\left|R_\varphi(Q,D')\right|$

(იხ.[13], თეორემა 6.3.5).

თეორემა 1.24. ვთქვათ Q არის D გაერთიანებათა $X-$ ნახევარმესერის რომელიღაც გაერთიანებათა $XI-$ ქვენახევარმესერი. თუ $i(Q,D)$ სიმბოლოთი ავღნიშნავთ $B_X(D)$ ნახევარჯგუფის ყველა იდემპოტენტების სიმრავლეს, რომებისთვისაც $V(D,\alpha)=Q$, მაშინ

$$i(Q,D)=\frac{1}{m_0\cdot q}\cdot|R(D')|.$$

(იხ.[13], შედეგი 6.3.6).

2. $\Sigma_{20}(\mathbf{X},6)$ კლასის ნახევარმესერების ქვენახევარმესერები

$\sum_{20}(X,6)$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ გაერთიანების $X-$ ნახევარმესერთა კლასი, რომლის ყოველი ელემენტი რომელიღაც $D=\{Z_5,Z_4,Z_3,Z_2,Z_1,\breve{D}\}$ გაერთიანების $X-$ ნახევარმესერის იზომორფულია და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

$$Z_5\subset Z_2\subset Z_1\subset\breve{D},\ Z_5\subset Z_3\subset Z_1\subset\breve{D}, Z_5\subset Z_4\subset Z_1\subset\breve{D}$$

$$Z_2\setminus Z_3\neq\varnothing, Z_3\setminus Z_4\neq\varnothing, Z_2\setminus Z_4\neq\varnothing$$

$$Z_3\setminus Z_2\neq\varnothing, Z_4\setminus Z_3\neq\varnothing, Z_4\setminus Z_2\neq\varnothing \tag{1.1}$$

$$Z_2 \cup Z_3 = Z_3 \cup Z_4 = Z_2 \cup Z_4 = Z_1$$

D ნახევარმესერი, რომელიც აკმაყოფილებს (1.1) პირობებს მოცემულია ნახაზი 1-ზე.



ნახაზი 1.

ლემა 1.1. ვთქვათ $D = \{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\} \in \Sigma_{20}(X,6)$, $|\Sigma_{20}(X,6)| = s$ და $|X| \geq \delta \geq 4$. თუ X სასრული სიმრავლეა, მაშინ

$$s = \frac{1}{4} \cdot \left(3^n - 4 \cdot 4^n + 6 \cdot 5^n - 4 \cdot 6^n + 7^n\right)$$

დამტკიცება: ამ შემთხვევაში გვექნება: $m = 6$, $\delta = 4$, ავტომორფიზმთა რაოდენობა $q = 4$, მაშინ თეორემა 1.2-ის თანახმად გვექნება:

$$s = \frac{1}{4} \cdot \sum_{p=4}^{6} \left(\sum_{i=1}^{p+1} \left(\frac{(-1)^{p+i+1} \cdot C_2^{p-6} \cdot C_p^4 \cdot (4!) \cdot ((p-4)!) \cdot i^n}{(i-1)! \ \cdot (p-i+1)!} \right) \right),$$

სადაც $C_j^k = \dfrac{j!}{k! \ \cdot (j-k)!}$. ამიტომ სამართლიანია შემდეგი ტოლობა

$$s = \frac{1}{4} \cdot \left(3^n - 4 \cdot 4^n + 6 \cdot 5^n - 4 \cdot 6^n + 7^n\right)$$

ლემა დამტკიცებულია.

მაგალითი 3.1. ვთქვათ $n = 4,\ 5,\ 6,\ 7,\ 8$ მაშინ:

$s = 48,\ 1680,\ 35520,\ 294000,\ 4198824$ და $\left|B_X\left(D\right)\right| = 4096,\ 32768,\ 262144,\ 2097152,\ 16777216.$

მოცემული რიცხვები გვიჩვენებს, რომ მაგალითად, თუ $\left|X\right| = 8$, მაშინ მოცემული კლასის ყველა ნახევარჯგუფთა ელემენტების რაოდენობა 4198824 ის ტოლია, ხოლო ელემენტების რაოდენობა თითოეულ ნახევარჯგუფში, რომელიც მოცემულ კლასს მიეკუთვნება, 16777216-ის ტოლია.

ახლა აღვწეროთ $\Sigma_3\left(X,8\right)$ კლასის ყველა ქვენახევარმესერი.

ლემა3.2. ვთქვათ $D \in \Sigma_{20}\left(X,6\right)$. მაშინ შემდეგი სახის სიმრავლეებით ამოიწურებიან $D = \left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$ ნახევარმესერის ყველა ქვენახევარმესერები.

1) $\left\{Z_5\right\}, \left\{Z_4\right\}, \left\{Z_3\right\}, \left\{Z_2\right\}, \left\{Z_1\right\}, \left\{\breve{D}\right\}$. (იხ. დიაგრამა 1 ნახაზი 3.2-ზე);

2) $\left\{Z_5, Z_4\right\}, \left\{Z_5, Z_3\right\}, \left\{Z_5, Z_2\right\}, \left\{Z_5, Z_1\right\}, \left\{Z_5, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_1\right\},$
$\left\{Z_4, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_3, \breve{D}\right\}, \left\{Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_2, \breve{D}\right\}, \left\{Z_1, \breve{D}\right\}.$

(იხ. დიაგრამა 2 ნახაზი 3.2-ზე);

3) $\left\{Z_5, Z_2, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_1\right\},$
$\left\{Z_5, Z_3, \breve{D}\right\}, \left\{Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_1, \breve{D}\right\}.$

(იხ. დიაგრამა 3 ნახაზი 3.2-ზე);

4) $\left\{Z_5, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$

(იხ. დიაგრამა 4 ნახაზი 3.2-ზე);

5) $\left\{Z_4, Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_4, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_3, Z_2, Z_1\right\}.$

(იხ. დიაგრამა 5 ნახაზი 3.2-ზე);

6) $\left\{Z_4, Z_3, Z_2, Z_1\right\}$ (იხ დიაგრამა 6 ნახაზი 3. 2-ზე);

7) $\left\{Z_4, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}.$ (იხ დიაგრამა 7 ნახაზი 3. 2-ზე);

8) $\left\{Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$. (იხ დიაგრამა 8ნახაზი 3. 2-ზე);

9) $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1\right\}$. (იხ დიაგრამა 9 ნახაზი 3. 2-ზე);

10) $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$.

(იხ დიაგრამა 10 ნახაზი 3. 2-ზე);

11) $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$. (იხ დიაგრამა 11ნახაზი 3. 2-ზე);

დამტკიცება:ცხადია, რომ D ნახევარმესერის ყველა ერთელემენტიანი ქვესიმრავლემის ქვენახევარმესერს წარმოადგენს.

D ნახევარმესერის ორელემენტიან ქვესიმრავლეთა რიცხვი არის $C_6^2 = 15$.

$$\begin{aligned}
&\left\{Z_5, Z_4\right\}, \left\{Z_5, Z_3\right\}, \left\{Z_5, Z_2\right\}, \left\{Z_5, Z_1\right\}, \left\{Z_5, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_1\right\},\\
&\left\{Z_4, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_3, \breve{D}\right\}, \left\{Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_2, \breve{D}\right\}, \left\{Z_1, \breve{D}\right\},\\
&\left\{Z_4, Z_2\right\}, \left\{Z_4, Z_3\right\}, \left\{Z_3, Z_2\right\}.
\end{aligned}$$

ადვილი შესამოწმებელია, რომ ზემოთ მოცემული ქვესიმრავლეებიდან ბოლო 3 ქვესიმრავლე D ნახევარმესერის ქვენახევარმესერს არ წარმოადგენს.

D ნახევარმესერის სამელემენტიან ქვესიმრავლეთა რაოდენობა არის $C_6^3 = 20$. ეს ქვესიმრავლეებია:

$$\begin{aligned}
&\left\{Z_5, Z_4, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_1, \breve{D}\right\} \left\{Z_5, Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_3, \breve{D}\right\},\\
&\left\{Z_5, Z_2, \breve{D}\right\} \left\{Z_5, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_1, \breve{D}\right\},\\
&\left\{Z_4, Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_4, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_3, Z_2, Z_1\right\},
\end{aligned}$$

$$\begin{aligned}
&\left\{Z_5, Z_4, Z_3\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2\right\}, \left\{Z_4, Z_3, Z_2\right\}\\
&\left\{Z_4, Z_3, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_2, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_2, \breve{D}\right\}.
\end{aligned}$$

ადვილი შესამოწმებელია, რომ ზემოთ მოცემული ქვესიმრავლეებიდან ბოლო 7 ქვესიმრავლე D ნახევარმესერის ქვენახევარმესერს არ წარმოადგენს. D ნახევარმესერის ოთხელემენტიან ქვესიმრავლეთა რაოდენობა არის $C_6^4 = 15$. ეს ქვესიმრავლეებია:

$$\begin{aligned}
&\left\{Z_5, Z_4, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \\
&\left\{Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_3, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1\right\}, \\
&\left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1\right\}, \\
&\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_3, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, \breve{D}\right\} \left\{Z_5, Z_3, Z_2, \breve{D}\right\}, \left\{Z_4, Z_3, Z_2, D\right\}
\end{aligned}$$

ადვილი შესამოწმებელია, რომ ზემოთ მოცემული ქვესიმრავლეებიდან ბოლო 5 ქვესიმრავლე D ნახევარმესერის ქვენახევარმესერს არ წარმოადგენს.

D ნახევარმესერის ხუთელემენტიან ქვესიმრავლეთა რაოდენობა არის $C_6^5 = 6$. ეს ქვესიმრავლეებია:

$$\begin{aligned}
&\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \\
&\left\{Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1\right\}, \\
&\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, \breve{D}\right\}
\end{aligned}$$

ადვილი შესამოწმებელია, რომ ზემოთ მოცემული ქვესიმრავლეებიდან ბოლო 1 ქვესიმრავლე D ნახევარმესერის ქვენახევარმესერს არ წარმოადგენს.

D ნახევარმესერის ექვსელემენტიან ქვესიმრავლეთა რაოდენობა არის $C_6^6 = 1$. ეს ქვესიმრავლეა: $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$.

და ის არის ქვესიმრავლე D ნახევარმესერის ქვენახევარმესერი

დამტკიცებული ლემიდან გამომდინარეობს, რომ ქვემოთ მოცემული დიაგრამები D ნახევარმესერის ყველა ქვენახევარმესერთა დიაგრამებს ამოწურავს.



ნახ. 3.2

ახლა ამოვწეროთ D ნახევარმესერის ყველა ის ქვენახევარმესერები, რომლებიც არიან XI ქვენახევარმესერები.

ლემა 3.3. ვთქვათ $D \in \Sigma_{20}(X,6)$ და $Z_7 \neq \varnothing$. მაშინ ნახ. 2-ზე ნაჩვენები 5-11 დიაგ-რამებით განსაზღვრული არცერთი ქვენახევარმესერი არ წარმოადგენს $XI-$ნახევარმესერს.

დამტკიცება: მოცემული ლემა დავამტკიცოთ ნახაზი 2-ის 5,6,7,8,11 დიაგრამებით განსაზღვრული ნახევარმესერებიდან ერთ-ერთი ნახევარმესერისთვის, მაგალითად ვაჩვენოთ, რომ 11-ე დიაგრამით განსაზღვრული ნახევარმესერი არ წარმოადგენს $XI-$ნახევარმესერს, დანარჩენი შემთხვევები დამტკიცდება ანალოგიურად.

ვთქვათ $D'=\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$ და $C(D')=\left\{P_0, P_1, P_2, P_3, P_4, P_5\right\}$ არის სიმრავლეთა ოჯახი, სადაც $P_0, P_1, P_2, P_3, P_4, P_5$ არიან X სიმრავლის წყვილ-წყვილად თანაუკვეთი ქვესიმრავლეები და

$$\psi=\begin{pmatrix} \breve{D} & Z_1 & Z_2 & Z_3 & Z_4 & Z_5 \\ P_0 & P_1 & P_2 & P_3 & P_4 & P_5 \end{pmatrix}$$

არის ასახვა D' ნახევარმესერისა $C(D')$ სიმრავლეში, მაშინ მოცემული D' (იხ. ნახაზი 1) ნახევარმესერის ელემენტებისათვის ფორმალურ ტოლობებს ექნებათ შემდეგი სახე: იხილით (1.3)

სადაც P_1, P_2, P_3, P_4, ელემენტები წარმოადგენენ D ნახევარმესერის ბაზისურ წყაროებს, ხოლო P_0, P_5-სისავსის წყაროებს, ამიტომ $|X| \geq 4$ და $\delta = 4$ მაშინ ფორმალური ტოლობებიდან გვექნება:

$$D'_t = \begin{cases} \{\breve{D},\ Z_1\ ,Z_2\ ,Z_3\ ,Z_4\ ,Z_5\} & if\ \ t \in P_0, \\ \{\breve{D}\}, & if\ \ t \in P_1, \\ \{Z_1, Z_3, Z_4, \breve{D}\}, & if\ \ t \in P_2, \\ \{Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\}, & if\ \ t \in P_3, \\ \{Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\}, & if\ \ t \in P_4, \\ \{Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\}, & if\ \ t \in P_5, \end{cases} \qquad \wedge(D', D'_t) = \begin{cases} Z_5,\ if & t \in P_0, \\ \breve{D},\ if & t \in P_1, \\ Z_5,\ if & t \in P_2 \\ Z_5, \ \ if & t \in P_3 \\ Z_5, \ \ if & t \in P_4. \\ Z_5, \ \ if & t \in P_5 \end{cases}$$

მივიღეთ, რომ $D'^{\wedge} = \left\{\wedge(D', D'_t) \middle| t \in \breve{D}\right\} = \{Z_1\}$ და $\wedge(D', D'_t) \notin D'$, რადგანაც P_1, P_2, P_3, P_4, არის ბაზისური წყარო. ამიტომ განმარტება 1.2.1-დან გამომდინარეობს, რომ D'

შესრულდა პრველი პირობა და არ შესრულდა მეორე. ე. ი არ არის $XI-$ნახევარმესერი

ანალოგიურად დამტკიცდება, რომ ნახ. 2-ზე ნაჩვენები 56,7,8,11 დიაგრამებით განსაზღვრული არცერთი ქვენახევარმესერი არ წარმოადგენს $XI-$ქვენახევარმესერს.

ლემა დამტკიცებულია.

ახლა აღვწეროთ $\Sigma_2(X,8)$ კლასის ყველა XI-ქვენახევარმესერი.

ლემა 3.4 ვთქვათ $D \in \Sigma_{20}(X,6)$და $Z_7 \neq \varnothing$. მაშინ შემდეგი სიმრავლეებით ამოიწურებიან D ნახევარმესერის ყველა $XI-$ქვენახევარმესერი:

1) $\{Z_5\}, \{Z_4\}, \{Z_3\}, \{Z_2\}, \{Z_1\}, \{\breve{D}\}$; (იხ.დიაგრამა 1 ნახაზი 3.4-ზე);

2) $\begin{matrix}\{Z_5, Z_4\}, \{Z_5, Z_3\}, \{Z_5, Z_2\}, \{Z_5, Z_1\}, \{Z_5, \breve{D}\}, \{Z_4, Z_1\}, \\ \{Z_4, \breve{D}\}, \{Z_3, Z_1\}, \{Z_3, \breve{D}\}, \{Z_2, Z_1\}, \{Z_2, \breve{D}\}, \{Z_1, \breve{D}\};\end{matrix}$ (იხ.დიაგრამა 2 ნახაზი 3.4-ზე);

3) $\begin{matrix}\{Z_5, Z_4, \breve{D}\}, \{Z_5, Z_3, \breve{D}\}, \{Z_5, Z_2, \breve{D}\}, \{Z_5, Z_1, \breve{D}\}, \{Z_5, Z_3, Z_1\}, \\ \{Z_5, Z_4, Z_1\}, \{Z_5, Z_2, Z_1\}, \{Z_4, Z_1, \breve{D}\}, \{Z_3, Z_1, \breve{D}\}, \{Z_2, Z_1, \breve{D}\};\end{matrix}$ (იხ.დიაგრამა 3 ნახაზი 3.4-ზე);

4) $\left\{Z_5, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$ (იხ.დიაგრამა 4 ნახაზი 3.4-ზე);

5) $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1\right\}$. (იხ.დიაგრამა 5 ნახაზი 3.4-ზე);

6) $\left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}, \left\{Z_5, Z_4, Z_2, Z_1, \breve{D}\right\}$. (იხ.დიაგრამა 6 ნახაზი 3.4-ზე);

დამტკიცება: მოცემული ლემის 1)-4) პირობების სამართლიანობა გამომდინარეობს თეორემა 1.11-დან, 5-6 პირობების სამართლიანობა გამომდინარეობს თეორემა 1.12-დან.

3. $\Sigma_{20}(X,6)$ კლასის ნახევარმესერებით განსაზღვრული $B_X(D)$ ნახევარჯგუფის იდეპოტენტური ელემენტები, როცა $Z_5 \neq \varnothing$

მოცემულ პარაგრაფში განხილულია $\Sigma_{20}(X,6)$ კლასით განსაზღვრული ბინარულ მიმართებათა სრული ნახევარჯგუფები და აღწერილია მოცემული ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტები. განხილულია ის შემთხვევა, როცა X სასრულო სიმრავლეა და $Z_5 \neq \varnothing$. გამოყვანილია ფორმულები, რომელთა საშუალებითაც დათვლილია მოცემული ნახევარჯგუფის იდემპოტენტური ელემენტების რაოდენობა.

ვთქვათ $D = \left\{Z_5, Z_4, Z_3, Z_2, Z_1, \breve{D}\right\} \in \Sigma_{20}(X,6)$. Q_i $(i = 1,2,3,\dots,6)$ სიმბოლოებით აღვნიშნოთ შემდეგი სიმრავლეები:

1) $Q_1 = \{T\}$, სადაც $T \in D$ (იხ. დიაგრამა 1 ნახაზი 3.4-ზე)

2) $Q_2 = \{T, T'\}$, სადაც $T, T' \in D$, $T \subset T'$; (იხ. დიაგრამა 2 ნახაზი 3.4-ზე)

3) $Q_3 = \{T, T', T''\}$, სადაც $T, T', T'' \in D$, $T \subset T' \subset T''$; (იხ. დიაგრამა 3 ნახაზი 3.4-ზე)

